ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27
2017 წლის 19 ივნისი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 დეკემბრის №61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

1. „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 დეკემბრის №61 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/12/2015, 010250020.35.158.016271) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

2. დამტკიცდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი ივლისიდან.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**

დანართი 1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

1. საკრებულოს თანამდებობის პირები

ა) საკრებულოს თავმჯდომარე – 2650 ლარი;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – 2200 ლარი;

გ) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე – 2050 ლარი;

დ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე – 2050 ლარი.

2. პირველი რანგი – მაღალი მმართველობითი დონე

ა) საჯარო დაწესებულების I სტ. ერთეულის ხელმძღვანელი – 1900 ლარი.

3. **მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე**;

ა) I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – 840 ლარი;

ბ) II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – 840 ლარი;

გ) III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – 780 ლარი.

4. მეოთხე რანგი – უმცროსი სპეციალისტის დონე

ა) I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი – 705 ლარი;

ბ) II კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი – 600 ლარი;

გ) III კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი – 550 ლარი.